

ვაშტიკიცებ:

**საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრის დირექტორი**

/თამარ ტატიშვილი/

ეროვნული ფილმის დებულება

1. ზოგადი დებულებები

- 1.1. წინამდებარე ეროვნული ფილმის დებულება (შემდეგში – დებულება) შემუშავებულია 2000 წლის 5 დეკემბრის №655-IX „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- 1.2. დებულება აწესრიგებს ეროვნული ფილმის ცნობის გაცემის, მოწმობის გაცემის, ვადის გაგრძელებისა და გაუქმების წესებს.
- 1.3. ეროვნული ფილმის მოწმობა გაიცემა **დანართის №1** შესაბამისად დადგენილი ფორმით, ხოლო ეროვნული ფილმის ცნობა **დანართის №4** შესაბამისად დადგენილი ფორმით.
- 1.4. ეროვნული ფილმის მოწმობა წარმოადგენს სახელმწიფო მხარდაჭერის მიღების საფუძველს.
- 1.5. ეროვნული ფილმის მოწმობას გასცემს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი (შემდეგში-კინოცენტრი“).
- 1.6. გაცემული ეროვნული ფილმის ცნობა და მოწმობა ტარდება სპეციალურ რეესტრში და ენიჭება ნომერი.

2. ეროვნული ფილმი

2.1. ფილმი ჩაითვლება ეროვნულად, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

- ა) ფილმი იქმნება საქართველოს სახელმწიფო ენაზე;
- ბ) ფილმის პროდიუსერია საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი;
- გ) ფილმის ავტორები არიან საქართველოს მოქალაქეები;
- დ) ფილმის გადამღები ჯგუფის (დამდგმელი-რეჟისორები, დამდგმელი-ოპერატორები, ოპერატორები, ხმის ოპერატორები, მხატვრები, კოსტიუმების მხატვრები, მემონტაჟეები, მთავარი როლების შემსრულებელი მსახიობები) შემადგენლობის 30 პროცენტს არ აღემატება იმ პირთა რაოდენობა, რომლებსაც არ გააჩნიათ საქართველოს მოქალაქეობა;

ე) ფილმის წარმოების, ტირაჟირების, გაქირავებისა და ჩვენების მიზნით გაწეული სამუშაოების მთლიანი მოცულობის არანაკლებ 50 პროცენტს ახორციელებს საქართველოში რეგისტრირებული კინორგანიზაცია.

2.2. ეროვნულად ჩაითვლება უცხო ენაზე (არა სახელმწიფო ენაზე) გადაღებული ფილმი, თუ ეს (უცხო ენაზე გადაღება) განპირობებული იყო სცენარის სპეციფიკით და ფილმი აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს.

2.3. ეროვნულ ფილმად შეიძლება ჩაითვალოს ერთობლივი წარმოების ფილმიც, თუ ის გადაიდეს უცხოურ კინორგანიზაციებთან ერთად შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების პირობების დაცვით

3. ეროვნული ფილმის ცნობის მიღება

3.1. კინოცენტრი გასცემს ეროვნული ფილმის ცნობას **დანართი №4**-ით დადგენილი ფორმით.

3.2. ეროვნული ფილმის ცნობის მისაღებად პროდიუსერმა უნდა წარმოადგინოს კინოცენტრში განცხადება **№8 დანართით** დადგენილი ფორმით და **დანართი №9** -ში მითითებული დოკუმენტაცია.

3.3. კინოცენტრი ეროვნული ფილმის ცნობას გასცემს პროდიუსერის მიერ სრული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. ეროვნული ფილმის მოწმობის მიღება დაშთავრებული ფილმისთვის

4.1. ეროვნული ფილმის მოწმობის მისაღებად პროდიუსერმა უნდა წარადგინოს კინოცენტრში განცხადება დანართი №2-ით დადგენილი ფორმით და დანართი №3-ში მითითებული დოკუმენტაცია.

4.2. კინოცენტრი ეროვნული ფილმის მოწმობას გასცემს პროდიუსერის მიერ სრული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4.3. ეროვნული ფილმის მოწმობა მოქმედებს ფილმის წარმოების განმავლობაში.

4.4. ეროვნული ფილმის მოწმობაში ფიქსირდება ფილმის წარმოების დასაწყისისა და დასასრულის თარიღი.

4.5. არასრულად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემთხვევაში პროდიუსერი ვერ მიიღებს ეროვნული ფილმის მოწმობას.

4.6. იმ პროდიუსერებს, რომელთაც ამ დებულებით დადგენილი წესით მიღებული აქვთ ეროვნული ფილმის ცნობა უნდა წარმოადგინონ განცხადება დანართი №2-ით დადგენილი ფორმით და დანართი №3-ის მე-5, მე-7, მე-8, მე-10 და მე-12 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

5. ეროვნული ფილმის მოწმობის მიღება დამთავრებული ფილმისთვის

5.1. ეროვნული ფილმის მოწმობის მისაღებად დამთავრებული ფილმისთვის პროდიუსერმა უნდა წარადგინოს კინოცენტრში განცხადება **დანართი №2**-ით დადგენილი ფორმით და **დანართი №5**-ში მითითებული დოკუმენტაცია.

5.2. კინოცენტრი ეროვნული ფილმის მოწმობას გასცემს პროდიუსერის მიერ სრული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5.3. ეროვნული ფილმის მოწმობაში მითითებული უნდა იყოს ფილმის წარმოების დასრულების დრო.

5.4. ეროვნული ფილმის მოწმობა დამთავრებულ ფილმზე გაიცემა 2 წლის ვადით.

5.5. იმ პროდიუსერებს, რომელთაც ამ დებულებით დადგენილი წესით უკვე მიღებული აქვთ ეროვნული ფილმის მოწმობა, დამთავრებული ფილმისთვის ეროვნული ფილმის მოწმობის მისაღებად უნდა წარმოადგინონ განცხადება დანართი №2-ით დადგენილი ფორმით და დანართი №5-ის მე-8, მე-11 და მე-13 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

6. ეროვნული ფილმის მოწმობის მიღება ერთობლივი წარმოების დაუმთავრებელი და დამთავრებული ფილმისთვის

6.1. ერთობლივი წარმოების ეროვნული ფილმის მოწმობის მისაღებად დაუმთავრებელი ფილმისთვის პროდიუსერმა (ქართული მხარის) ეროვნულ კინოცენტრში უნდა წარადგინოს განცხადება ეროვნული ფილმის მოწმობის მისაღებად და ის დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრულია ეროვნული კინოცენტრის ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების დაფინანსების საკონკურსო პირობებით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ პროექტი არ მონაწილეობს ეროვნული კინოცენტრის ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების დაფინანსების კონკურსში პროდიუსერმა (ქართული მხარის) უნდა წარადგინოს კინოცენტრში განცხადება ეროვნული ფილმის მოწმობის მისაღებად და ის დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრულია ერთობლივი კინო წარმოების შესახებ მრავალმხრივ ან ორმხრივ ხელშეკრულებებში, რომელთა მხარეც არის საქართველო.

6.3. ერთობლივი წარმოების ეროვნული ფილმის მოწმობის მისაღებად დამთავრებული ფილმისთვის პროდიუსერმა (ქართული მხარის) ეროვნულ კინოცენტრში უნდა წარადგინოს განცხადება ეროვნული ფილმის მოწმობის მისაღებად, კოპროდუქციის სტატუსი, აქტი ფილმის დასრულების შესახებ, ფილმის ასლი და ის დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრულია ეროვნული კინოცენტრის ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების დაფინანსების საკონკურსო პირობებით ან ის დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრულია ერთობლივი კინო წარმოების შესახებ მრავალმხრივ ან ორმხრივ ხელშეკრულებებში, რომელთა მხარეც არის საქართველო.

6.4. პროდიუსერებს, რომელთაც ამ დებულებით დადგენილი წესით უკვე მიღებული აქვთ ეროვნული ფილმის მოწმობა, დამთავრებული ფილმისთვის ეროვნული ფილმის მოწმობის მისაღებად უნდა წარმოადგინონ მხოლოდ განცხადება, კოპროდუქციის სტატუსი, აქტი ფილმის დასრულების შესახებ და ფილმის ასლი.

7. ეროვნული ფილმის მოწმობის ვადის გაგრძელება განუსაზღვრელი ვადით

7.1. ეროვნული ფილმის მოწმობის 2 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ, ეროვნული ფილმის მოწმობის ვადის განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებისათვის საჭიროა პროდიუსერმა წარმოადგინოს კინოცენტრში განცხადება ეროვნული ფილმის მოწმობის განუსაზღვრელი ვადით გაგრძელების თაობაზე (დანართი №6) და დოკუმენტაცია, რომელიც მითითებულია დანართი №7-ში.

7.2 პროდიუსერის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე კინოცენტრი აგრძელებს ეროვნული ფილმის მოწმობის ვადას განუსაზღვრელი ვადით.

8. ეროვნული ფილმის მოწმობის გაუქმება

8.1 ეროვნული ფილმის მოწმობა შეიძლება გაუქმდეს კინოცენტრის მიერ შემდეგ შემთხვევებში: თუ კინოცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან თუ წარმოების ან გაქირავების პროცესში ფილმი აღარ შეესაბამება ეროვნული ფილმის მოთხოვნებს.

8.2 ეროვნული ფილმის მოწმობის გაუქმების დღიდან პროდიუსერს, გამქირავებელს და დემონსტრატორს ერთმევა უფლება მიიღოს სახელმწიფო მხარდაჭერა.

9. გარდამავალი დებულებები

იმ ფილმებს, რომელთაც 2005 წლიდან 2010 წლის 14 სექტემბრამდე მიღებული აქვთ ეროვნული კინოცენტრისგან წარმოების დაფინანსებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერა, ეროვნული ფილმის სტატუსის მისაღებად ფილმის პროდიუსერმა ეროვნულ კინოცენტრში უნდა წარმოადგინოს განცხადება წინამდებარე დებულების დანართი №6-ით დადგენილი ფორმით და დანართი №7-ში მითითებული დოკუმენტაცია

დანართი №1

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ეროვნული ფილმის მოწმობა №

ფილმის დასახელება	_____
ფილმის სახეობა	_____
სერიების რაოდენობა	_____
ფორმატი / ფერი	_____
ფონოგრამა	_____
ქრონომეტრაჟი	_____
ფილმის ავტორები:	
სცენარის ავტორი	_____
რეჟისორი	_____
კომპოზიტორი	_____
დილოგების ავტორი	_____
პროდიუსერი:	
იურიდიული პირი	_____
	<i>პროდიუსერის დასახელება, იურიდიული მისამართი</i>
ფიზიკური პირი	_____
	<i>მისამართი</i>
ფილმის წარმოების დასაწყისი	_____
ფილმის წარმოების დასასრული	_____
ეროვნული ფილმის მოწმობის მოქმედების ვადა	_____
გაცემის თარიღი	_____
	ხელმოწერა
ეროვნული ფილმის მოწმობის ვადა გაგრძელებულია	_____
თარიღი	_____
	ხელმოწერა
ეროვნული ფილმის მოწმობის ვადა გაგრძელდა	_____
თარიღი	_____
	ხელმოწერა

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ეროვნული ფილმის მოწმობის მისაღებად

ფილმის სამუშაო სახელწოდება

ფილმის პროდიუსერი

იურიდიული პირისთვის

სახელწოდება, იურიდიული მისამართი

ფიზიკური პირისთვის

მოქალაქეობა, საცხოვრებელი ადგილი, პირადობის მოწმობის მონაცემები

ფილმის ავტორების მოქალაქეობა:

სცენარის ავტორი

რეჟისორი

კომპოზიტორი

დილოგების ავტორი

გადამღები ჯგუფის წევრთა მოქალაქეობა:

ოპერატორი

ხმის ოპერატორი

მხატვარი

კოსტიუმების მხატვარი

მთავარი როლის შემსრულებლები

ფილმის წარმოების ბიუჯეტი

ფილმის ენა

პროდიუსერის ხელმოწერა

დანართი №3

საბუთების ნუსხა ეროვნული ფილმის მოწმობის მისაღებად დაუმთავრებელი ფილმისთვის

1. განცხადება დადგენილი ფორმით (დანართი №2)
2. იურიდიული პირის წესდების ასლი, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან.
3. ფიზიკური პირის პირადობის მოწმობის ასლი, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ან საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობა.
4. ინფორმაცია იურიდიული პირის საქმიანობის შესახებ.
5. ფილმის ავტორთა და გადამღები ჯგუფის წევრების (რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი, კომპოზიტორი, მხატვარი, ოპერატორი, ხმის ოპერატორი, კოსტიუმების მხატვარი, მთავარი როლის შემსრულებლები) პირადობის მოწმობის ასლები, რომელიც ადასტურებს მათ მოქალაქეობას.
6. მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების თრითმენტი.
7. ხელშეკრულებები თანაინვესტორებთან ფილმის წარმოების დაფინანსების (ალტერნატიული დაფინანსება) თაობაზე (წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალი).
8. თუ ფილმის წარმოებაზე გამოყენებული იქნება პროდიუსერის პირადი თანხები, წარმოდგენილი უნდა იყოს ამონაწერი ბანკიდან პროდიუსერის საბანკო ანგარიშზე თანხების მოძრაობის შესახებ.
9. ხელშეკრულებები რეჟისორთან, სცენარის ავტორთან, დიალოგების ავტორთან (ორიგინალები ან ასლები ნოტარიულად დამოწმებული), რომელთა მიხედვითაც დასტურდება, რომ განმცხადებელი არის კანონიერი მფლობელი ყველა იმ საავტორო უფლებისა, რომელიც ფილმში იქნება გამოყენებული;
10. კომპოზიტორთან, მხატვართან, ოპერატორთან, ხმის ოპერატორთან, კოსტიუმების მხატვართან, მთავარი როლის შემსრულებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
11. ფილმის ბიუჯეტი.
12. ხელშეკრულებები იმ კინორგანიზაციებთან, რომლებიც ახორციელებენ საწარმოო სამუშაოებს წარმოებისა და წარმოების შემდგომ პერიოდში (ორიგინალები, ან ასლები ნოტარიულად დამოწმებული).

ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს პროდიუსერის ხელმოწერით ქართულ ენაზე

დანართი №4

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
ეროვნული ფილმის ცნობა №

ფილმის სამუშაო დასახელება
ფილმის სახეობა
რეჟისორი
პროდიუსერი
მოქმედების ვადა	ეროვნული ფილმის ცნობის გაცემიდან 6 თვე
გაცემის თარიღი
ხელმოწერა

საბუთების ნუსხა ეროვნული ფილმის მოწმობის მისაღებად დამთავრებული ფილმისთვის

1. განცხადება დადგენილი ფორმით (დანართი 2.)
2. იურიდიული პირის წესდების ასლი, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან.
3. ფიზიკური პირის პირადობის მოწმობის ასლი და ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ან საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობა.
4. ფილმის ავტორთა და გადამღები ჯგუფის წევრების (რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი კომპოზიტორი მხატვარი, ოპერატორი, ხმის ოპერატორი, კოსტიუმების მხატვარი, მთავარი როლის შემსრულებლები) პირადობის მოწმობის ასლები, რომელიც ადასტურებს მათ მოქალაქეობას.
5. ინფორმაცია იურიდ. პირის საქმიან. შესახებ.
6. ხელშეკრულებები თანაინვესტორებთან ფილმის წარმოების დაფინანსების (ალტერნატიული დაფინანსება) თაობაზე (წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალი).
7. ხელშეკრულებები რეჟისორთან, სცენარის ავტორთან, დიალოგების ავტორთან და კომპოზიტორთან (ორიგინალები ან ასლები ნოტარიულად დამოწმებული), რომელთა მიხედვითაც დასტურდება, რომ განმცხადებელი არის კანონიერი მფლობელი ყველა იმ საავტორო უფლებისა, რომელიც ფილმში იყო გამოყენებული.
8. ხელშეკრულებები იმ კინორგანიზაციებთან, რომლებიც ახორციელებენ წარმოების, ტირაჟირების, გაქირავებისა და ჩვენების მიზნით გაწეულ სამუშაოებს.
9. თუ ფილმის წარმოებაზე გამოყენებული იქნება პროდიუსერის პირადი თანხები, წარმოდგენილი უნდა იყოს ამონაწერი ბანკიდან პროდიუსერის საბანკო ანგარიშზე თანხების მოძრაობის შესახებ.
10. გადამღები ჯგუფის (მხატვარი, ოპერატორი, ხმის ოპერატორი, კოსტიუმების მხატვარი, მთავარი როლის შემსრულებლები) წევრებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
11. აქტი ფილმის წარმოების დასრულების შესახებ.
12. ფილმის ბიუჯეტი.
13. ფილმის ასლი.

ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს პროდიუსერის ხელმოწერით ქართულ ენაზე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
ეროვნული ფილმის მოწმობის განუსაზღვრელი ვადით გაგრძელების თაობაზე

ფილმის სახელწოდება _____

ფილმის პროდიუსერი _____

იურიდიული პირისთვის _____
სახელწოდება, იურიდიული მისამართი

ფიზიკური პირისთვის _____
მოქალაქეობა, საცხოვრებელი ადგილი, პირადობის მოწმობის მონაცემები

ფილმის ავტორების მოქალაქეობა:

სცენარის ავტორი _____

რეჟისორი _____

კომპოზიტორი _____

დილოგების ავტორი _____

გადამღები ჯგუფის წევრთა მოქალაქეობა:

ოპერატორი _____

ხმის ოპერატორი _____

მხატვარი _____

კოსტიუმების მხატვარი _____

მთავარი როლის შემსრულებლები _____

ფილმის წარმოების, ტირაჟირების, გაქირავებისა და ჩვენების მიზნით გაწეული სამუშაოების მთლიანი მოცულობა ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რომელსაც ახორციელებს საქართველოში რეგისტრირებული კინორგანიზაცია.

ხარჯთაღრიცხვა:

ფილმის წარმოება _____ ფილმის გაქირავება _____

ფილმის ტირაჟირება _____ ფილმის ჩვენება _____

უცხოური ინვესტიციის რაოდენობა _____

უცხოური კინორგანიზაციების მონაწილეობა ფილმის წარმოებაში _____

სახელწოდებები და ადგილმდებარეობა

ფილმის ენა _____

პროდიუსერის ხელმოწერა _____

საბუთების ნუსხა, რომელიც სავალდებულოა ეროვნული ფილმის მოწმობის განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებისთვის

1. განცხადება დადგენილი ფორმით (დანართი №6).
2. ხელშეკრულებები იმ კინორგანიზაციებთან, რომლებიც ახორციელებენ წარმოების, ტირაჟირების, გაქირავებისა და ჩვენების მიზნით გაწეულ სამუშაოებს.
3. ანგარიში ფილმის გამოყენებაზე და ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს, რომ ფილმის წარმოების, ტირაჟირების, გაქირავებისა და ჩვენების მიზნით გაწეული სამუშაოები შეესაბამება წინამდებარე დებულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტს.

ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს პროდიუსერის ხელმოწერით.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
ეროვნული ფილმის ცნობის მისაღებად

ფილმის სამუშაო სახელწოდება	_____
ფილმის პროდიუსერი	_____
იურიდიული პირისთვის	_____
	<i>სახელწოდება, იურიდიული მისამართი</i>
ფიზიკური პირისთვის	_____
	<i>მოქალაქეობა, საცხოვრებელი ადგილი, პირადობის მოწმობის მონაცემები</i>
ფილმის ავტორების მოქალაქეობა:	
სცენარის ავტორი	_____
რეჟისორი	_____
დილოგების ავტორი	_____
ფილმის წარმოების ბიუჯეტი	_____
ფილმის ენა	_____
პროდიუსერის ხელმოწერა	_____

საბუთების ნუსხა, რომელიც საგაღმწესო ეროვნული ფილმის ცნობის მისაღებად

1. განცხადება დადგენილი ფორმით (დანართი №8)
2. იურიდიული პირებისათვის წესდების ასლი, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან.
3. ფიზიკური პირისთვის პირადობის მოწმობის ასლი და ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ან საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობა.
4. ინფორმაცია იურიდიული პირის საქმიანობის შესახებ.
5. ფილმის ავტორთა (რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი) პირადობის მოწმობის ასლები, რომელიც ადასტურებს მათ მოქალაქეობას.
6. ფილმის თრიტმენტი.
7. ხელშეკრულებები რეჟისორთან, სცენარის ავტორთან და დიალოგების ავტორთან (ორიგინალები, ან ასლები ნოტარიულად დამოწმებული,), რომელთა მიხედვითაც დასტურდება, რომ განმცხადებელი არის კანონიერი მფლობელი ყველა იმ საავტორო უფლებისა, რომელიც ფილმში იქნება გამოყენებული.
8. ფილმის ბიუჯეტი.